ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №692235

ნომერი: AR1129135

თარიღი : 01.05.2013

გაცემის თარიღი : 28.05.2013

გაცნობის თარიღი : 09.07.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მაჩაბელი , N 1/ლეონიძის (კიროვის) N6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაყვალა გონაშვილი პ/ნ 01011003016
- თბილისი ნ.ლომოურის ქ. N 1 ბ. 27

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 203851493
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მაყვალა გონაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01011003016

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დიმიტრი მარგალიტაშვილი

საფუძველი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (სარეგისტრაციო ნომერი N882012974396, 12.10.2012; საკადასტრო კოდი N01/15/05/013/002/01/522);

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. მოწონებულ იქნას ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი – მთაწმინდა), მაჩაბელის ქ. N 1 / ლეონიძის (კიროვის) ქ. N6–ში (უძრავი ძეგლი), თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის საკუთრებაში არსებული ფართობის ფარგლებში, მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების არქიტექტურული პროექტი;
2. გაიცეს უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა;
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2013 წლის 01 ივნისიდან 2013 წლის 01 სექტემბრამდე.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.